საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 783

2020 წლის 28 დეკემბერი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 28 დეკემბრის NMES 2 20 0001233925 კორესპონდენციის გათვალისწინებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. ცნობილი საზოგადო მოღვაწის, თვალსაჩინო პროზაიკოსის, პუბლიცისტის, ჟურნალისტის, მეცნიერის, ქ. ბათუმისა და შუახევის მუნიციპალიტეტების საპატიო მოქალაქის, ღირსების ორდენის კავალერის, პროფესორ რამაზ სურმანიძის ღვაწლის დაფასების მიზნით, დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად ოჯახის დასახმარებლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს 6 000 (ექვსი ათასი) ლარი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) უზრუნველყოს მიზნობრივი დაფინანსება.

3. კონტროლი გამოყოფილი თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (მ. ხაჯიშვილი).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

თორნიკე რიქვაძე